ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ №14

თბილისი „ 4“ სექტტემბერი“ 2019 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №63 საჯარო სკოლა“, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის ნანა მონიავას სახით, და მეორე მხრივ, შპს “ჯეოტენდი” შემდგომში „მიმწოდებელი“, მისი დირექტორის ვლადიმერ ბაიდოშვილის სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“) ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის სამეურნეო საქონლის (CPV კოდი 19600000, 24300000, 33700000, 39200000, 39800000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული საქონელი 384,00 (სამასოთხმოცდაოთხი) ლარად. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

№	**დასახელება**	**განზომილების ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**საერთო**	**CPV-kodi**
1	ნაგვის პარკები პატარა	ცალი	10	1,80	18,00	19640000
2	ნაგვის პარკები დიდი	ცალი	20	4,20	84,00	19640000
3	ქლორი მათეთრებელი 30 ლ	ცალი	2	42,00	84,00	24311900
4	დომესტოსი 750 მლ (ქლორი)	ცალი	5	3,80	19,00	24311900
5	დომესტოსი 3,5 ლ	ცალი	2	12,00	24,00	24311900
6	ტუალეტის ქაღალდი (დისპენს)	ცალი	12	2,00	24,00	33761000
7	ცოცხი ოთახის	ცალი	4	6,00	24,00	39224100
8	აქანდაზი	ცალი	2	2,50	5,00	39224350
9	ფხვნილი	ცალი	1	19,20	19,20	39800000
10	სახეხი ნეჭა (სინა)	ცალი	12	0,40	4,80	39800000
11	იატაკის საწმენდი ჯოხი ბამბუკის	ცალი	2	5,50	11,00	39800000
12	ფხვნილი სახეხი რაქშა	ცალი	10	1,80	18,00	39831200
13	იატაკის საწმენდი ტილო	ცალი	6	5,50	33,00	39800000
14	მინის საწმენდი ტილო	ცალი	10	1,60	16,00	39800000

სულ ღირებულება	384,00	

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2019 წლის ,,10,, სექტემბრის ჩათვლით.

4.2. ადგილი:

4.2.1. ქალაქი თბილისი, უზნაძის ქუჩა №104

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2. მიწოდებულ საქონელზე ანაზღაურება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედდებულია ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე;(საჭიროებისამებრ)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. „მიმწოდებელი" არაუგვიანეს 6 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და 5.2. პუნქტში მიწოდებულ დოკუმენტებს (საჭიროებისამებრ).

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 საბანკო დღისა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,01%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლის დირექტორი ნანა მონიავა.

.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
16.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
სსიპ ქალაქ თბილისის №63საჯარო სკოლა	შ.პ.ს. „ჯეოტენდი“
თბილისი, უზნაძის ქ. №109	თბილისი, ქინძმარაულის ქ. №1
ს/ს „ლიბერთი ბანკი“	ს/ს „პროკრედიტ ბანკი“
ბ/კ: LBRTGE22	ბ/კ: MIGGGE22
ა/ა: GE22LB0121155128168000	ა/ა: GE60PC0673600100000958
ს/კ: 202055444	ს/კ: 416310708
დირექტორი	დირექტორი
ნანა მონიავა	ვლადიმერ ბაიდოშვილი
---	---

ltd jeotendi

Digitally signed by ltd jeotendi
Date: 2019.09.04 22:22:55 +04'00'

მიღება-ჩაბარების აქტი

თბილისი „ 4 ” სექტემბერი 2019 წ.

ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №63 საჯარო სკოლა“, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის ნანა მონიავას სახით, და მეორე მხრივ, შპს “ჯეოტენდი” შემდგომში „მიმწოდებელი“, მისის დირექტორის ვლადიმერ ბაიდოშვილი სახით ვდებთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ შემსყიდველმა მიიღო, ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა 4 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 384.00 ლარს

უფლებამოსილი პირი	უფლებამოსილი პირი
დირექტორი ნანა მონიავა	დირექტორი ვლადიმერ ბაიდოშვილი
---	---

ltd jeotendi

Digitally signed by ltd jeotendi
Date: 2019.09.04 22:25:33 +04'00'